

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მამია ბერძენიშვილის სახით და მეორეს მხრივ ფ.პ. იური ბაბაიანი (შემდგომში „შემსრულებელი“) (დაბადებული 17.10.1977 წ. ქ. ბათუმში, მცხოვრები ქ. ბათუმი, ინსარძის ქ. №6. ბინა №18; პირადი ნომერი - №61002003981; პირადობის მოწმობა - №ბ0916417; პირადობის გაცემული 15.06.2006წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბათუმის სამსახურის მიერ) (ორივე ერთად „მხარეები“) („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი: 63500000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – დამკვეთსა და შემსრულებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა - დამკვეთს, ხოლო ერთი - შემსრულებელს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს დამკვეთმა შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „დამკვეთი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „შემსრულებელი“ – პირი/ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას 2016 წლის 31 ოქტომბერსა და 01 ნოემბერს (2დღე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტუმრებს - კერძოდ ტელეკომპანია NTV-ს გადაცემა „пойдем поедим“-ის გადამღები ჯგუფის, ჟურნალისტებისა და ოპერატორებისათვის რუსეთის ფედერაციიდან (სულ 6 (ექვსი) პიროვნება), გაუწიოს გიდის მომსახურება შემდეგი მარშრუტით: 31 ოქტომბერს - ქ. ბათუმის ბოტანიკური ბაღი, მახუნცეთის ჩანჩქერი, თაღოვანი ხიდი, სოფ. აჭარისწყალი - აჭარული ღვინის სახლი, ბათუმის ტური; 01 ნოემბერს - ბათუმის დელფინარიუმი, მაჭახელას ხეობა, საოჯახო სასტუმრო „ნოე“.

2.2. მომსახურების ღირებულება 31 ოქტომბერს შეადგენს - 125 (ასოცდახუთი) ლარს, რომელშიც შედის საშემოსავლო გადასახადი 20% - 25 (ოცდახუთი) ლარი, ხოლო 01 ნოემბერს შეადგენს - 100 (ასი) ლარს, რომელშიც შედის საშემოსავლო გადასახადი 20% - 20 (ოცი) ლარი.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 225 (ორას ოცდახუთი) ლარს, რომელშიც შედის საშემოსავლო გადასახადი 20% - 45 (ორმოცდახუთი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.